№ 765 მთავრობის მოამბე

ოფიციალური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. — კვირა, ნოემბრის 21 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83.

სახელმწიფო ოპერა

ორშაბათს 22 ნოემბერს მეორედ ქართულ ენაზე.

„ლ ა ლ ა ტ ი“

მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა, თარგმანი ფოცხვერაშვილის მიერ. მონაწილეობენ:

ზეინაბი-ალეშკო, ერეკლე-სარაჯიშვილი, რუქაია-ბურაგო ცეხნოვსკაია, ოთარ-ბეგ ელიოზიშვილი, ისაკარ-ერმოლინსკაია, სულიმანი-საბინინი, კურბატოვი, ორლიუკი, დემიანენკო, ეზროვი.

ოპერას დასდგამს **ა. რ. წუწუნავა.** დირიჟერი სტოლერმანი. ბალეტს დასდგამს **მ. მორდკინი.**

972 1—1

სახელმწ. თეატრი.

კვირას, 21 ნოემბერს ბალეტის საღამო

„კ ო პ ე ლ ი ა“

ორშაბათს 22 ნოემბერს მეორედ ქართულ ენაზე **„ლალატი“**, სამშაბათს 23 ნოემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა **„ეროელი“**; ხუთშაბათს 25 ნოემბერს მესამედ ქართულ ენაზე ოპერა **„ლალატი“**.

972 1—1 — დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

სუხუმის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს,

რომ ივანე ფირანის ძე ეზაკელი გამგეობის წარმომადგენლათ ქალაქისათვის სხვა და სხვა საქონლის შესყიდვაში აღარ ითვლება და მოწმობა გაცემული მის სახელზე ქალაქის გამგეობის მიერ № 5879 გაუქმებულია.

სუხუმის ქალაქის გამგეობა.

999 3—3

კვირას, 28 ნოემბერს,

დილის 11 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩ., № 11, შესდგება

საქართველოს ტექნიკური საზოგადოების წლიური კრება.

3838 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

18 ნოემბერი, 1920 წ., № 464.

ინიშნება: სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის მოხელეთ შალვა თევდორეს ძე აბაშიძე ა. წ. 18 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი
კ. ანდრონიკაშვილი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის საქმეთა მინისტრისა.

25 სექტემბერი, 1920 წ., № 50.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონები: პორფირე გოთოშია, ილია ახვლედიანი, პეტროს ვატულიანცი, ალექსანდრე გალავანოვი, დავით ფხაკაძე, გიორგი ანდრიაშვილი (იგივე მინაძე) და ავეტის შაქარიანცი ხელახლად მეორე კატეგორიის ფოსტალიონებად: გოთოშია თელავში, ახვლედიანი ახალციხეში, ვატულიანცი ართვინში, ფხაკაძე გურჯაანში, ანდრიაშვილი-მინაძე ალავერდში, შაქარიანცი ტფილისის ფოსტის კანტორაში, გალავანოვი ახმეტაში; მოქალაქე ირაკლი ახვლედიანი მეორე კატეგორიის ფოსტალიონად ქუთაისში. ყოფილი განყოფილების უფროსი პარმენ ჩაჩხიანი—ვარანცოვკაში განყოფილების უსფროსად. ყოფილი მოხელე გრიგოლ მაკასარაშვილი მესამე ხარისხით ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში. ყველანი პირველ ოქტომბრიდან.

დანიშნულნი არიან: ბათომის პირველი ხარისხის მოხელე სიმონ გალუსტოვი თანახმად თხოვნისა II ხარისხით ტფილისის ფოსტის კანწორაში. ბაღდათის მეორე კატეგორიის ფოსტალიონი გერმოგენ რობაქიძე პირველი კატეგორიით ბაღდათში. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ტფილისის პირველ განყოფილების 5 ხარ. გრიგოლ სარიაშვილი, ბორჯომის 4 ხარ. დავით თუხარელი და სოხუმის 6 ხარ. მიხეილ კავჟარაძე და გიორგი მაჩხანელი; სარიაშვილი 4 ხარისხით, თუხარელი III ხარ., კავჟარაძე და მაჩხანელი 5 ხარისხით იმავე დაწესებულებებში 1 ოქტომბრიდან.

გადაყვანილნი არიან: ტფილისის ტელეფონის ქსელის ზედამხედველები მალალი ჯამაგირით: ვასილ გალუსტოვი და ალექსანდრე გაევსკი; ფოსტალიონები: ართვინის შალვა კახიძე, თიანეთის რაჟდენ აბრამიშვილი, საჭამიას-სერის მაკარი მამალაძე, საჯევახოსი სევერიანე უჯმაჯურიძე. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ბათომის ტელეფონის ქსელის მე 6 ხარისხის ელისაბედ ინაშვილი, ტფილისის ტელეფონის ქსელის 6 ხარ. ნინო წერეთელი, ნიგოითის 6 ხარ. მათე კალანდარიშვილი, ბორჯომის III ხარ. ნესტორ ფანჯაკიძე, 5 ხარ. მელანია ფანჯაკიძისა, ახალციხის III ხარ. ვლადიმერ ტატიშვილი, ქუთაისის III ხარ, კირილე ნაცვლიშვილი, მანგლისის 6 ხარ. ანა ჭედია და ალავერდის 6 ხარ. ალექსანდრე მიქელაძე იმავე წოდებით: გალუსტოვი და გაევსკი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, კახიძე და ნაცვლიშვილი ბათომში, კალანდარიშვილი სოხუმში, ნესტორ და მელანია ფანჯაკიძეები ახალციხეში, ტატიშვილი ბორჯომში, ჭედია სამტრედიაში, მიქელაძე ქუთაისში, ინაშვილი ტფილისის ტელეფონის ქსელზე, წერეთელი ბათომის ტელეფონის ქსელზე, მამალაძე საჯევახოში, უჯმაჯურიძე საჭამიას-სერში და აბრამიშვილი ახმეტაში. აბრამიშვილი 21 სექტემბრიდან, დანარჩენნი 1 ოქტომბრიდან, გაევსკი, კახიძე, კალანდარიშვილი და ნაცვლიშვილი სამსახურის სასარგებლოთ, დანარჩენნი თანახმად თხოვნისა.

დანიშვნილნი არიან: ვარანცოვკის ზედამხედველად: დაბალი ჯამაგირით იოსებ სერაბინი, ტფილისის ფოსტის კანტორის მე-4 ხარ. მოხელე ბიკენტი ბედეხაშვილი, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის 4 ხარ. მოხელე ქალი თამარ ახანიაშვილი-ლაგვილაშვილისა, და ფოსტალიონები: გურჯაანის გიორგი გუჯაბიძე და ტფილისის ფოსტის კანტორის აქვსეტი ქობალია. სერაბინი, ბედენაშვილი, დავითაშვილი 1 ოქტომბრიდან, გუჯაბიძე 26 სექტემბრიდან, ქობალია 27 სექტემბრიდან. ბედენაშვილი დათხოვნილია სამსახურის ნებადაურთველად მიტოვებისათვის, დანარჩენი თანახმად თხოვნისა.

საქმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

16 ნოემბერი, 1920 წ., № 410.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე გრიგოლ ანტონის ძე ფურცელაძე ა. წ. ნოემბრის 16-დან.

17 ნოემბერი, 1920 წ., № 411.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან: იუსტიციის სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსის თანაშემწე ნინო ნიკოლოზ ლომოურის ასული მის სენატის მდივნის თანაშემწედ დანიშვნისა გამო ა. წ. ნოემბრის 15 დან.

დეპარტამენტის დირექტორის
მაგ. ივ. **ბერიაშვილი.**

—

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

15 ნოემბერი, 1920 წ., № 41.

ინიშნება: იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსის თანაშემწე ნინო ნიკოლოზ ლომოურის ასული საქართველოს სენატის მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად 1920 წ. ნოემბრის 15-დან, სამსახურისთვის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში მივლენით.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე
დ. ხელთუფლიშვილი.

წესი კონსტიტუციის განხილვისა.

დამფუძნებელ კრებაში შეტანილი პროექტი კონსტიტუციისა განხილულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

1. პირველად უნდა განხილულ იქნეს კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები (პირველი განხილვა). ამას შემდეგ კენჭის ყრით უნდა გადაწყდეს საკითხი თაობრივ განხილვაზე გადასვლისა.

2. თაობრივი განხილვა იწყება იმ თავის ძირითად დებულებათა საზოგადო განხილვით (მეორე განხილვა), რომლის შემდეგ კენჭის ყრით გადაწყდება საკითხი მუხლობრივ განხილვაზე გადასვლისა (მესამე განხილვა).

3. მეორე და მესამე განხილვის შუა უნდა გავიდეს არა ნაკლებ 10 დღისა.

4. შესწორებანი და დამატებანი ან დამატებითი მუხლები განსახილველი თავისა უნდა წარედგინოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამი დღისა მეორე განხილვის შემდეგ. ეს შესწორებანი და დამატებანი პრეზიდიუმის განკარგულებით გაეგზავნება საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც თავისი დასკვნა უნდა წარმოუდგინოს პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამი დღისა.

5. პრეზიდიუმი შემოტანილ შესწორებას და დამატებას დასასკვნოთურთ გაუგზავნის დამფუძნებელ კრების თითოეულ ფრაქციას ორი დღით ადრე მაინც იმ სხდომამდე, როდესაც მესამე განხილვა არის დანიშნული.

6. მესამე (მუხლობრივი) განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას: ინებებთ თუ არა პირობით მიიღოთ განხილული თავი კონსტიტუციისა მთლიანად.

7. განხილული თავის პირობითი მიღების შემდეგ შეიძლება მხოლოდ ისეთი შესწორების შეტანა, რაც შეეხება მუხლთა შინაგან წინააღმდეგობას ან თავთა თუ მუხლთა დალაგებას. შესწორება შემოტანილ უნდა იქნეს კონსტიტუციის ყოველი თავის პირობითი მიღების შემდეგ სამი დღის განმავლობაში, ან უფრო ადრე და გაეგზავნოს საკონსტიტუციო კომისიას დასასკვის წარმოსადგენად თანახმად მეხუთე მუხლისა, ამასთანავე ეცნობოს დასასკვითურთ ყველა ფრაქციას ორი დღით მაინც ადრე იმ სხდომამდე, როცა მეოთხე განხილვა დანიშნულ იქნება.

8. მეოთხე განხილვა შეეხება მხოლოდ იმ საკითხს, რომლის გამო შემოტანილ იყო შესწორება; ამ განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას: ინებებთ თუ არა დამტკიცოთ განხილული თავი კონსტიტუციისა მთლიანად.

9. თითოეულ თავს ცალ-ცალკე უნდა ეყაროს კენჭი, შემდეგ კონსტიტუციას მთლიანად. ამნაირად დამტკიცებული პროექტი კონსტიტუციისა უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიას შესამუშავებლად საბოლოო ტექსტისა, რომელიც განსახილველად დასამტკიცებლად კიდევ უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას (მეხუთე განხილვა). ამ განხილვის დროს შეიძლება შეტანა მხოლოდ სარედაქციო შესწორებისა.

10. რომლისამე თავის მუხლობრივი განუხილველობა არ აბრკოლებს შემდეგი თავის ზოგადი წესით განხილვას.

11. იმ შემთხვევისათვის, რომელიც ამ წესით არ არის განსაზღვრული, დამფუძნებელი კრება იხელმძღვანელებს არსებულ რეგლამენტით.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ნ. მდივანი.

1920 წ. ნოემბრის 16-ს.

დამფუძნებელი კრება

19 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. მდივანი.

ივ. გომართელი მოახსენებს კრებას დეკრეტს ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოსაწყობად 1 მილ. მანეთის გადადების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სანატორიუმის გახსნის ინიციატივა იკისრა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ, რომლის ხელშიაც არის საქართველოს ყველა კურორტები. სანატორია 40 საწოლით არის მოწყობილი. წარმოდგენილი დეკრეტი მილო ჯანმრთელობის კომისიამ, ამ დეკრეტმა კამათი გამოიწვია საბიუჯეტო-ფინანსიურ კომისიაში. საქმე იმაშია, რომ ეს ფული უკვე მოხმარდა სანატორიუმს და დამფუძნებელ კრებას მომხდარ ფაქტის წინაშე უხდება დეკრეტის განხილვა. გადაწყდა ეს ფაქტი ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მომავალში ასეთ შემთხვევებს არ ექნეს ადგილი. დეკრეტი კი მიღებულ უნდა იქნას, რადგანაც ყველასთვის ცხადია დიადი მნიშვნელობა სანატორიუმისა და აშკარაა, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ნაბიჯი ამ მხრივ მეტად მიზანშეწონილი იყო.

გრ. რცხილაძე აღნიშნავს, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს არ ქონდა უფლება 1 მილ. მანეთი დაეხარჯა სანატორიუმის მოსაწყობად. ამის უფლება არ ჰქონდა მიცემული ბიუჯეტით. ეს არის შელახვა პარლამენტის საბიუჯეტო უფლების. ორატორი წინააღმდეგია დეკრეტის მიღების.

ბენ. ჩხიკვიშვილი უპასუხებს რა რცხილაძეს აღნიშნავს, რომ ფული დახარჯულია მიზანშეწონილად, რაც აქ აღნიშნა კიდეც მომხსენებელმა. სანატორიუმის დაარსება უაღრესად საჭირო იყო და ფულიც მთავრობის დასტურით იყო დახარჯული. სანატორიუმის დაარსების საკითხი გაირჩა მთავრობის სხდომაზე 22 ივლისს და ამის შესახებ შესაფერი დადგენილებაც იქნა გამოტანილი. მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ წარდგენილი დეკრეტი მიღებულ იქნა მთავრობის მიერ, კანტროლის შესწორებით და დაევალა ეს მიწათ-მოქმედების მინისტრს დეკრეტის მიღებამდე საჭირო თანხები გაეღო სამინისტროს საოპერაციო თანხებიდან. მეორე საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ სანამ დამფუძნებელ კრებას არ განეხილა ეს დეკრეტი ფულის დახარჯვა არ შეიძლებოდა. ეს დებულება ფორმალურად მართალია. ესევე აღნიშნა მომხსენებელმაც და აკი უნდა ეცნობოს კიდეც მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მომავალში ასეთ ფორმალურ დარღვევას არ ქონდეს ადგილი, მაგრამ რადგანაც ფული მიზანშეწონილად დაიხარჯა და მნიშვნელოვან საქმესაც მოხმარდა, დეკრეტი მიღებულ უნდა იქნას. აქ რცხილაძემ განაცხადა, ეხლა ასეთ პირობებში არ გვცალიან სანატორიუმებისათვის, ვის უნდა დაუჯეროთ, ბატონ რცხილაძეს თუ სპეციალისტების აზრს, რომელთა თათბირზედაც ეს საკითხი გაირჩა და მოწონებულ იქნა კიდეც მიწათ-მოქმედების სამინისტროს პროექტი. სერიოზული საქმე გაკეთდა და იქ, სადაც დამნაშავე არ არის არც უნდა ვეძებდეთ მას.

გრ. რცხილაძე აღნიშნავს, რომ დეკრეტი მართალია მოწონებული ყოფილა მთავრობის მიერ, მაგრამ სწორედ მთავრობის დასტურის შემდეგ უწყებას ხსენებული დეკრეტი უნდა წარედგინა დამფუძნებელ კრებაში. სიტყვის დასასრულს აღნიშნავს, რომ იმ ეკონომიურ კრიზისის დროს, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით კურორტების მოწყობის დრო არ არისო. კამათი დასრულდა. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

ივ. გომართელი. მძიმე ეკონომიური მდგომარეობა არის ეს მართალია, მაგრამ ამაზე უარესი პირობებიც რომ იყოს, არის ბევრი ისეთი რამ, რაზედაც ხელს ვერ ავიღებთ თუ ჩვენ კულტურული ერი ვართ, დღესვე უნდა ვაწარმოოთ კულტურული საქმიანობა და მე მრწამს, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ქართველი ხალხი ლელოს მაინც გაიტანს. რანაირი მძიმე პიოობებიც არ უნდა იყოს ჩვენ საიმედო მომავლისათვის ნიადაგი მაინც უნდა ვამზადოთ და კულტურულ ერისათვის, რომ სანატორიუმი არის საჭირო ეს ყველასათვის ცხადია. ეს ფული მიზან შეწონილად იყო დახარჯული. სანატორიუმი დაარსდა მაშინ, როდესაც დამფუძნებელ კრების სხდომები შეწყვეტილი იყო და მთავრობამ უფლება მისცა სამინისტროს საოპერაციო თანხებიდან გაეღო ხარჯები. თუ დავეთანხმებით რცხილაძეს და არ მივიღებთ დეკრეტს, მაშინ სამინისტრო იძულებული გახდება გაიყიდოს სანატორიუმის ინვენტარი და ეს მიზან შეწონილი იქნება თუ არა თქვენ თითონ გასაჯეთ?. თქვენ ემსგავსებით იმ რომაელ იურისტებს, რომლებიც გაიძახოდენ სამართალი კი იქნეს დაცული და თუგინდ ქვეყანა დაიღუპოსო. ჩვენ კი ასე ვსჯით: ფორმალური მხარე მართალია დაირღვა, მაგრამ სანატორიუმი კი უნდა არსებობდეს. და კანონიერად მოვიქცევით თუ წარმოდგენილ დეკრეტს დავდასტურებთ. დეკრეტი მიღებულ იქნა. წინაალმდეგ მისცეს ხმა სოც.-ფედერალისტებმა და თავი შეიკავეს ნაც.-დემოკრატებმა.

უკანასკნელი საკითხი იყო სენატორთა არჩევნები. სარეკომენდაციო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ს. ჯაფარიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ სამმა სენატორმა თავი დაანება სენატორობას, თანახმად სენატის დებულების 21 მუხლის არჩეულ უნდა იქნან ახალი კანდიდატები მომავალ წლის 7 ოქტომბრამდე. სარეკომენდაციო კომისიამ ოთხი კანდიდატი დაასახელა სახელდობრ: ანდრია კოსტავა, პეტრე კიზირია, ასლან გელოვანი და იოსებ სიდავა. ასლან გელოვანმა უარი განაცხადა. სარეკომენდაციო კომისიამ მსჯელობა იქონია მხოლოდ ერთი კანდიდატის შესახებ ბ ამიტომ წინადადებას იძლევა დღეს მხოლოდ ერთი კანდიდატი სახელდობრ ანდრია კოსტავა იქნეს არჩეული.

მ. რუსია აცხადებს სოც.-დემ. ფრაქციის სახელით, რომ მათ მოასწრეს მხოლოდ პირველი კანდიდატის გარჩევა. შემოდის წინადადება არჩევნები მოიხსნას დღის წესრიგიდან, რაც მიღებულ იქნა.

მთავრობაში.

შეშის მიწოდება მუშებისათვის.

მთავრობამ, მოისმინა რა შრომის მინისტრის მოხსენება მოსამსახურეებისათვის შეშის მიწოდების შესახებ, დაადგინა: მიიღოს შრომის მინისტრის მოხსენება და მიაწოდოს მუშებს და მოსამსახურეებს შეშა შემდეგ ფასებში: კუბიკური საჟენი კარგი ხარისხისა 10.000 მან., დაბალ ხარისხისა 8.000 მან.

კულტურულ-განმანათლებელ სექციის გაფართოვება.

სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ სამინისტროს კულტურულ - განმანათლებელ სექციის გაფართოვების შესახებ, მთავრობამ დაადგინა: მიანდოს სახალხო განათლების მინისტრს სამხედრო მინისტრთან ერთად გაეცნოს კულტურულ-განმანათლებელ სექციის საქმიან მუშაობას და წარმოადგინოს მოხსენება სექციის წარსულ მოქმედების შესახებ და აგრეთვე პროექტი მომავალ მუშაობისა განზრახულ ხარჯთ-აღრიცხვის თანდართვით.

ყოფილ თავადის მინგრელსკის ქონების ჩამორთმევა.

იუსტიციის მინისტრის მოხსენების შემდეგ ყოფილ თავადის ნიკოლოზ მინგრელსკის ქონების ჩამორთმევის შესახებ, მთავრობამ მიიღო პროექტი დეკრეტისა, რომელიც განსაზღვრავს დამფუძნებელ კრებას გადაეცემა. მთავრობის დადგენილება სხდომის ჟურნალის დამტკიცებიდან შევა ძალაში.

სამსახურიდან განთავისუფლება.

იუსტიციის მინისტრის მოხსენების შემდეგ ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგის ს. ჯორბენაძის მიერ შემოტანილ სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: ვინაიდან ს. ჯორბენაძე საპყრობილეთა ინსპექტორად დაინიშნა მისი თხოვნა საოლქოს სასამართლოს პროკურორის ამხანაგის მოვალეობის ასრულების განთავისუფლების შესახებ, იქნეს შეწყალებული.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

ფრენის აკრძალვა.

მოკავშირეებმა მიმართეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს განცხადებით, სადაც აღნიშნულია, რომ ანტანტა უკრძალავს გერმანიას ყოველგვარ ფრენას ჰაერში. აკრძალვის მიზეზი არის გერმანულ საფრენოსნო ორგანიზაციათა მიერ დადგენილ წესების დარღვევა. გერმანიის პრესა იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი განაცხადა საფრენოსნო საზოგადოებათა გაშვებაზე და საზღვარგარეთ ფრენის აკრძალვაზე.

სიკვდილით დასჯის სტატისტიკა.

„ტანი" მოსკოვის „იზვესტიებიდან" მოყავს სიკვდილით დასჯის სტატისტიკა ივლისის 23 დან აგვისტოს 21-მდე. ის ცნობები შედგენილია ოფიციალურ განაჩენთა მიხედვით. ერთი თვის განმავლობაში დაუხვრეტიათ 1182 კაცი, ამათში ზოგი ლოთობისათვის, ზოგი იარაღის შენახვისათვის, საბჭოთა მოსამსახურეთა მოსყიდვისათვის, მთავრობის წარმომადგენლებისადმი დაუმორჩილებლობისათვის და სხვ.

გლეხთა აჯანყები უკრაინაში.

გელსინგფორსიდან გაზეთები იუწყებიან, რომ უკრაინაში განუწყვეტლივ გლეხთა აჯანყება ხდებაო. შეიარაღებულ გლეხთა ბრბოები აჩერებენ მატერებელს და სიცოცხლეს ასალმებენ მგზავრებს, განსაკუთრებით კომუნისტებს. მგზავრობას ადვილად ვეღარავინ ბედავს.

საალყო წესები მოსკოვში.

„ტანი" იუწყება: რიგიდან მოსული ცნობებით მოსკოვში საალყო წესები გამოუცხადებიათ. დაპატიმრებულია რამოდენიმე ასეული ოფიცერი—სამხედრო და საზღვაო მთავარ შტაბებში მოსამსახურენი.

კომუნისტების მიმხრობისათვის.

ცნობილ ქალს სილვია პანკჰერტს, რომელიც ინგლისელ კომუნისტებს მიემხრო, გაზ. „მუშათა დრეადნოუტში" წერილის მოთავსებისათვის 6 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

მონარქიული პროპაგანდა.

„ტანი" იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით მოსკოვში გაძლიერდა ფარული მონარქიული პროპაგანდა. მიზნათ აქვთ მეფეთ გამოაცხადონ მიხეილ ალექსანდრეს ძე.

ესერები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

„უნიონის" საგენტო იუწყება: გაზ. „პრავდის" სიტყვით მემარჯვენე ესერებს გამოუშვიათ მოწოდება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. ესერები ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ მან სამარცხვინო ზავი დასდო პოლონეთთან. ამ მოწოდებაში ესერები საბჭოთა რეჟიმს უწოდებენ „რუსეთის კატორღას და კომუნისტურ საპატიმროს".

„პრავდას" მუქარა.

„პრავდა" მემარჯვენე და მემარცხენე ესერებს რესპრესიების გაძლიერებით ემუქრება.

საბჭოთა რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვა.

საბჭოთა რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წელს შემდეგ თანხას უდრის: შემოსავალი ნავარაუდევია 1550 მილიარდი მანეთი. სახელმწიფო გასავალი კი 1160 მილიარდი მან. დეფიციტი ახალი ქაღალდის ფულების გამოშვებით უნდა დაიფაროს.

ბერძენთა განადგურება.

უკანასკნელი ცნობებით ტრაპეზუნდის რაიონში არსებული ბერძენთა სოფლების მთელი რიგი ქემალისტებს გაუნადგურებიათ.

იმედების დამყარება ქემალისტებზე.

„ბოსფორი" სწერს: ქემალისტთა და მის მიმდევრებზეა დამოკიდებული ოსმალეთის ბედ იღბალი. თუ მას მართლაც გულწრფელად უყვარს ოსმალეთი, ეს მან უნდა დაამტკიცოს თავისი პატრიოტული გრძნობის გამოჩენით და უნდა უზრუნველყოს თავის ქვეყნის ბატონობა აღმოსავლეთში. ამ ბატონობას ის უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუკონებლივ შესწყვეტს საშოქალაქო ომს და შეჩერებს თავის შეტევას ამიერ-კავკასიის საზღვრებში.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ფრანგული პრესა.

კონვენციაზე ხელის მოწერა.

ელჩთა კონფერენციამ კმაყოფილებით შეიტყო, რომ პოდარევსკი თავის მთავრობის სახელით ხუთშაბათს მოაწერს ხელს კონვენციას პოლონეთსა და დანციგის შორისო.

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის კრებაზე ჟენევაში ექვსი ვიცეთავმჯდომარე აირჩიეს.

გერმანული ცნობები.

ჩეხო-სლოვაკების დემონსტრაცია.

ჩეხო-სლოვაკების დემონსტრაციები გრძელდება. დემონსტრაციები ხელს უშლიან გერმანულ გაზეთების გამოსვლას და თეატრებში წარმოდგენების გერმანულ ენაზე გამართვას. ბრბომ გაანადგურა 21.000 გერმანული წიგნი და დახვრა გერმანული სტუდენტების სამ. კითხველო. ექსცესები ებრაელების წინააღმ. დეგაც არის მიმართული. ჩეხო-სლოვაკებსა და მცხოვრებთა შორის შეტაკება ხდება.

ეროვნულ ყრილობის გერმანულ წევრებს განზრახვა აქვთ წარუდგინონ მთავრობას ულტიმატურ ხასიათის მოთხოვნილება რათა დაუბრუნდეს გერმანელებს საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელები ჩეხო-სლოვაკიას მძარცველთა ქვეყანათ ჩასთვლიან. ვენის გაზეთები აღნიშნავენ ჩეხო-სლოვაკიაში არსებულ უკანონობას და მოუწოდებენ ერთა ლიგას მოაქციონ ამას ყურადღება. გერმანული პრესა უარყოფს ხმებს, თითქოს გერმანია საბერძნეთზე გავლენას ახდენს. ამას. თანავე გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ გერმანია საბერძნეთის საქმეებში სრულიად არ ერევაო.

დანციგის სამხედრო მანდატი.

ხმები იმის შესახებ, რომ დანციგის დაცვის სამხედრო მანდატი პოლონეთს ეძლევაო, დანციგში დიდ საშიშროებას იწვევს „ფოსიშე ცაიტუნგის" კორესპონდენტი აცხადებს, რომ ხალხთა ლიგის კომისარის ძალა უფლებას არავითარი გავლენა არა აქვს და დანციგის მცხოვრებლებს სამოქალაქო ომის დაწყებისაც კი ეშინიათო. „ბერლინერ ტაგენბლატს" ეშვი შეაქვს ამ ცნობის სიმართლეში, რომელიც თუ მართლა გამართლდა, იმ იდეიას, რომელსაც საერთაშორისო კანონი ეყრდნობა, ფარსათ გადააქცევსო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ერების შავიწროება არ ეკადრება ანტანტას და მის ინტერესებს დიდ ზიანს აყენებსო.

სპეკულიანტების წინააღმდეგ.

გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს მიიღოს ენერგიული ზომები უცხოელ სამხედრო სპეკულიანტების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრს მათი თავიანთ სამშობლოში გაძევება სურს.

კომუნისტების შეერთება.

ჩრდილოეთ დასავლეთის უკიდურესმა და ახალმა კომუნისტებმა გამბურგის ყრილობაზე შეერთება გადასწყვიტეს.

ლტოლვილები.

სტამბოლში ყირიმადან 50,000 ლტოლვილი მოვიდა, მაგრამ ვინაიდან მათთვის არ აღმოჩნდა დამზადებული თავისუფალი ბინა, ამიტომ ნაპირზე ვერ გადმოვიდენ. იმედი აქვთ, რომ მათ კუნძულ ლემნოსზე მოათავსებენ. სულ 100,000 ლტოლვილს მოელიან. უმეტესი ნაწილი ალჟირში გაიგზავნება.

ცნობის უარყოფა.

ცნობა. თითქოს შვეიცარიაში ლორდ ჯორჯი ერთა ლიგის სხდომებზე დასასწრებლად მივიდა ოფიციალურად უარყოფენ.

ექსპერტების თათბირი.

ბრიუსელში ზარალის ანაზღაურების საკითხის განსახილველად მოკავშირეთა ექსპერტების თათბირი შესდგება.

მოლაპარაკება პარიზსა და ლონდონს შორის.

პარიზსა და ლონდონს შორის დაიწყო მოლაპარაკება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქნა ვენიზელოსის მომხრეების დამარცხების შემდეგ. ხუთშაბათს ისგლისის ელჩმა ლორდ დებრიმ ინახულა ჟორჟ ლეიგი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), როგორც სჩანს ორივე სახელმწიფოს სურს ერთად იმოქმედოს.

მეფე კონსტანტინეს წინააღმდეგ.

პარიზსა და ლონდონში გადაწყვეტილია წინააღმდეგობა გაუწიონ საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინეს ასვლას. პრინც გიორგის დანიშვნასაც წინააღმდეგობა შეხვდება. ყოველ შემთხვევაში მას მოსთხოვენ საბერძნეთის პოლიტიკურ ორიენტაციის გარანტიას.

საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

მიმდინარე მომენტი და პარტიის მიზნები.

„პრავდას" მოწინავე სწერს: ვრანგელის სრული განადგურება და პეტლიურას მთელი რიგის დამარცხება შრომის ფრონტზე გადასვ-

ლის საშვალებას გვაძლევს. ეს კიდევ არ ნიშნავს ჩვენი მდგომარეობის შემსუბუქებას. პირიქით, გადატეხამ მოგვისწრო სრულ გალატაკების, ხალხის დაღლილობის და მოუსავლობის დროს, რამაც ჩვენი ენერგიის და ძალღვების დაჭიმვა უნდა გააძლიეროს, გამარჯვებასთან ერთად დაიბადა სურვილი დასვენებისა და დისციპლინის დასუსტებისა. ვინაიდან ეს დიდ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი პარტიისათვის და საბჭოთა რუსეთისათვის, ამიტომ ახლა საჭიროა პარტიის მწკრივების მეტი დარაზმვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიბადება შესაძლებლობა სამეურნეო აპარატის გადახალისებისა, მხოლოდ პარტიის ნების მთლიანობა მოგვცემს საშვალებას გამოვიდეთ გამარჯვებულნი იმ მიზნებიდან, რომელსაც ჩვენ ვისახავთ. ჩვენ დასუსტებას ყურადღებას ადევნებს ჩვენი მტრები, ევროპის პრესაში უკვე გავრცელდა ყალბი რადიო, რომელშიაც ბუდიონის ღალატს და ზინოვიევის რაღაც წერილების არსებობას იტყობინებიან. ამ ცნობებს შეცდომაში შეყავს ჩვენი ამხანაგები დასავლეთში. რომ ვსძლიოთ ავათმყოფობას საჭიროა ორი მხრით გავაძლიეროთ მუშაობა. ერთი მხრით პარტიაში უნდა მოვსპოთ ბიუროკრატიული წესები და მეორე მხრით ანტი-კომუნისტურ მიმდინარეობას დიდი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ. ამ ჟამად პარტიაში ჩაწერილია დიდ-ძალი ახალი წევრები, რომლებიც მართალია როგორც მუშები დიდ ღირებულებას წარმოადგენენ, მაგრამ პოლიტიკურად ვერ არიან კარგათ აღზრდილნი. საჭიროა ამ აღზრდის მიცემა. ეს უნდა გახდეს მიზანი დღევანდელი დღისა.

საგარეო ვაჭრობა.

ნახერმავა წელმა განვლო მას შემდეგ რაც ჩვენში საზღვარ გარეთიდან შემოიტანეს საქონელი. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტური ქვეყნებს არ სურდათ ჩვენ საგარეო ვაჭრობასთან დამოკიდებულების დაკავება. ისინი განაგრძობდენ საბოტაჟს. ის ქვეყნები საიდანაც შეგვიძლია ჩვენ მიერ შესყიდულ საქონლის შემოტანა, არის: შვეცია, გერმანია და იტალია. ჩვენ ვერ შევსძელით იტალიასთან ნორმალურ სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა, ვინაიდგან ამაში ხელს გვიშლის იტალიის მთავრობა და ინგლისი, რომლის სამხედრო გემებმა დაატუსაღეს ჩვენ სახელზე გამოგზავნილი საქონლით დატვირთული იტალიის გემი.

ახალ ავანტიურას იწყებენ.

ყოველ დღე ვრცელდება ხმები, რომ ზემო სილეზიაში შევლენ პოლონონელებიო. გერმანიის მთავრობამ ცნობები მიიღო, რომ საზღვარზე პოლონეთის დიდი ძალები იყრის თავსო. ამიტომ გერმანიის მთავრობამ ლონდონში და პარიზში მყოფ თავის წარმომადგენლებს წინადადება მისცა აცნობონ ანტანტას პოლონეთის საქციელი, რომელიც გერმანიას ემუქრებაო.

მეტად დამწუხარებულნი არიან.

საფრანგეთის პრესა და პოლიტიკური წრეები ვრანგელის დამარცხებით დამწუხარებულნი არიან. „ეხო დე პარი“ მოითხოვს ბალშევიკების ძალით ჩამოგდებას და მოუწოდებს ევროპას გაერთიანდეს წინააღმდეგ რუსეთისა რომელიც-გაზეთის სიტყვით იხგლისს თუ არა პოლონეთს და რუსეთს მაინც-ემუქრებაო.

ჩვენ ავიღეთ პროსკუროვი.

დღეს ავიღეთ ქალაქი პროსკუროვი. მტერი თავზარდაცემული გარბის.

პეტლიუროველები გარბიან.

პოლონეთის მთავრობა იტყობინება, რომ პეტლიურას ჯარი უწესიეროთ გარბის საზღვრებისაკენ ერთ დღეში 1500 მეტი პეტლიუროველი განვიარაღეთ. პეტლიუროველები ლვოვისაკენ გარბიან. პეტლიურა გაიქცა (გამოტოვებულია)

ელექტრონი სოფელს.

სმოლენსკის მაზრებში 3 ელექტრონის სადგური ამუშავდა, სადგურები გლეხების ქოხებს ანათებს.

რკინის გზელთა გაფიცვა ნორვეგიაში

მთავრობასა და რკინის გზელებს შორის შეთანხმება არ შესდგა და დეკემბრის 1, მთელ ნორვეგიაში რკინის გზელთა გაფიცვა უნდა დაიწყოს.

საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

საბოლოო ზავის შესაკვრელათ ნოემბრის 17, რიგაში პოლონეთისა და რუსეთ-უკრაინის საზავო დელეგაციების პლენუმის პირველი სხდომა შესდგა. თანახმად პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის დმოვსკის განცხადებისა, პოლონეთი ყოველგვარ ზომას

კანტორისაგან

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კანტორა

აცხადებს, რომ ნისია ხელის მოწერა დაწესებულებებს 20 ნოემბრიდან გაზეთი არ ეგზავნებათ ვინც ამ თვის გოლომდე ფულს არ შემოიტანს დაკლებული ნოვრები შემდეგ აღარ გაეგზავნება.

იხმარს დადებულ ზავის განსამტკიცებლადო. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარემ ამხანაგმა იოფემ თავის მხრით აღნიშნა სურვილი საბჭოთა რუსეთისა მშვიდობიან პოლიტიკის წარმოების შესახებ. სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხების დეტალურ დასამუშავებლად არსებულ კომისიების დატოვების შესახებ.

ვერ ისვენებენ.

პარიზში მყოფმა თავადმა ლვოვმა და ვრანგელის ელჩმა მაკლაკოვმა ვრანგელის დამარცხების გამო რუს ლტოლვილთა მიმართ გამოუშვა მოწოდება, რომ ვრანგელის დამარცხების გამო, მათ არ მართებთ გაიტეხონ გული და რომ ბრძოლა საბჭოთა რუსეთთან კვლავ გაგრძელდებაო.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

საგარეო კომისარის ჩიჩერინის მოთხოვნამ, რომ მიეცა ინგლისის მთავრობას საბოლოო პასუხი კითხვაზე: სურს თუ არა მას საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა—ინგლისში დიდი აურ ზაური გამოიწვია. მოელიან ზოგიერთ მინისტრების კაბინეთიდან გასვლას.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში.

ნოემბრის 18 ს, ქალაქის თვითმართველობის შენობაში, ს. ჟორჟოლიანის თავმჯდომარეობით შესდგა რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის პლენუმის სხდომა. სხდომაზე წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: 1) სახელმწიფო ბანკი, 2) სოც.-რევ. პარტიის საბჭოს კომიტეტი, 3) ებრაელთა ორგანიზაცია, 4) კოოპერატიული ბანკი, 5) დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, 6) ფაბრიკანტთა და მექარხნეთა საზოგადოება, 7) სასოფლო-სამეურნეო ბანკი, 8) კომერციული ბანკი, 9) მეღვინეთა საზოგადოება, 10) ცენტრო-ბანკი, 11) სახალხო უნივერსიტეტი, 12) მუშათა კლუბი, 13) საქართველოში არსებულ რუსთა ეროვნული საბჭო, 14) წითელი ჯვარი, 15) ამიერ-კავკასიის ბანკი, 16) ტფილისის ჟურნალისტთა საზოგადოება, 17) მწერალთა კავშირი, 18) ერობათა კავშირი და სხვა. სხდომის გახსნისას ს. ჟორჟოლიანმა გააკეთა მოკლე მოხსენება მიმდინარე მომენტისა და კომიტეტის მოქმედების შესახებ. შემდეგ სხდომა, შეუდგა ფრონტის დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვას, ცალკე სექციების არჩევას ახლად დაარსებულ თავდაცვის ფონდთან დამოკიდებულების საკითხის გარჩევას. საკითხების განხილვის შემდეგ დაადგინეს აირჩიონ 8 სექცია, რომლებსაც დაევალათ ფულის, თეთრეულისა, საპნისა და სხვათა შეგროვება. სხდომის დასასრულს მოვიდა გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი, რომელსაც ს. ჟორჟოლიანმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა. სხდომის დასასრულს გადაწყდა აირჩიონ წარმომადგენელად თავდაცვის კომიტეტში ფრონტის დამხმარე კომიტეტიდან ს. ჟორჟოლიანი.

კომიტეტის სექციები მუშაობას უკვე შეუდგნენ. გაიხსნა საწყობები და დაიწყო შემოწირულებათა მიღება დამფუძნებელი კრების შენობაში. შემოწირულებათა მიღება შეიძლება დილის 10-დან დღის 2 საათამდე. ყოველგვარ ცნობის მიღება შეიძლება ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ს. ჟორჟოლიანთან. (დამფ. კრება, ქვესტორის კაბინეტი).

სასურსათო საქმე

ფასების დაცემა.

მომარაგების სამინისტრო კახეთში სხვა ხორბლეულობასთან ერთად იძენს სიმინდს. სიმინდის მოსავალი კახეთში განსაკუთრებით ალაზნის გალმა-მხარეზე წელს ძალიან კარგია. ფასები 650 მან. 700 მან. ადის. სამინისტროს შეძენილი აქვს ჯერ-ჯერობით 70 ვაგონამდის და შესყიდვა სწარმოებს. შესყიდულია აგრეთვე ხორბალი და ქერი, მაგრამ გამუდმებული წვიმების გამო, რადგან გზებიც გაფუჭებული იყო სურსათის მოზიდვა სადგურზე შეუძლებელი ხდებოდა. ეხლა გზები შეშრა და სურსათის გადმოგზავნა უკვე დაიწყო. გადმოზიდვაში სამინისტროს ხელს უწყობს სიღნაღის ერობა. ამ ცუდი ამინდებით იყო ალბათ გამოწვეული ამ უკანასკნელ ხანებში ტფილისის ბაზარზე პურზე ფასების ზრდა; კარგმა დარებმა აქაც იმოქმედა—ფასებმა საგრძნობლად დაიწია, მაგ. სიმინდის ფქვილი 2800—3200 მან.—1600 მან. დაეცა, პური 4000 მან.—2.500 მანეთამდე. როგორც გურია—სამეგრელოდან მოსული ცნობებიდან სჩანს,—იქაურ სიმინდის ფასებიც 2000 მანეთიდან—800 მანეთამდის ჩამოვიდა და არის ტენდენცია კიდევ დაკლებისა.

შრომის დაჯილდოება.

ნოემბრის 18 დობრორჯვინიძის თავმჯდომარეობით შესდგა კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც გაირჩა საკითხი ტფილისის დაწესებულებებში და წარმოებებში შრომის დაჯილდოების შემოღების შესახებ. შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა გააცნო სხდომას პროექტი და პრემიალურ სისტემის გატარებისათვის საჭირო ინსტრუქციები. თანახმად პროექტისა დაჯილდოება შეიძლება იყოს ინდივიდუალური და აგრეთვე კოლექტიური ხასიათის.

ჯილდოს რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითად ჯამაგირის 200%-ს. დაჯილდოების გატარება შეიძლება მუშებისა, ადმინისტრაციისა ან და შრომის სამინისტროს ინიციატივით. ჯილდოს ამტკიცებს სატარიფო პალატა. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმ გადიდებას, ის არ უნდა აღემატებოდეს ნაყოფიერების დაწესებულ ნორმის 50%-ს. მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. დასასრულ გამოიტანეს რეზოლიუცია პრემიალურ სისტემის მიღების შესაძლებლობის შესახებ, იმდენათ რამდენათაც ეს სისტემა ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდას და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას. გადაწყდა გადასცენ დასკვნისათვის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საკანონმდებლო კომისიას შემდეგი კითხვები: 1) როლი პროფესიონალური კავშირებისა დაწესებულებებში და წარმოებებში პრემიალურ სისტემის მიღების დროს, 2) ზედმეტ ნამუშევარის მაქსიმალური ნორმის ფიქსაცია, 3) გავრცელება პრემიალურ სისტემისა დაწესებულებათა მუშებზე და მოსამსახურეებზე.

ჯანმრთელობის დეპარტამენტში.

— ჯანმრთელობის დეპარტამენტი იუწყება: ტფილისის ლაბორატორიებში გადამდებ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველად შრატი და ვაქცინები მზადდებაო. ამ პროდუქტების ღირსების გამოსაკვლევად დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით საკონტროლო კომისია შესდგა. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ჯანმრთელობის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი, სანიტარული ინსტიტუტის დირექტორი, ლაბორატორიების და ქალაქთა კავშირის წარმომადგენლები და სხვა.

— ჯანმრთელობის დეპარტამენტის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: მთავრობის დადგენილებას აბასთუმანის ჯანმრთელობის დეპარტამენტზე გადაცემის შესახებ ქმაყოფილებით შევხვდით. ადგილობრივი სამაზრო ერობა მზათ არის აღმოვიჩინოთ გნერგიული დახმარება. ახალციხის ერობა.

სასამართლოში

გენერალ მაზნიაშვილისა და სხვების საქმე.

ნოემბრის 19-ს სამხედრო სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით შეუდგა ახალციხის ფრონტის ყოფილ მთავარსარდლის გენ. გიორგი მაზნიაშვილისა და სხვების საქმის გარჩევას.

გენერალ მაზნიაშვილის გარდა სამართალში მიცემულნი არიან შემდეგი პირნი:

მთავარსარდლის შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი ა. მ. ჯიჯიხია, შტაბს-კაპიტანი პ. პ. ნაზარეიშვილი, შტაბს-როტმისტრი ი. ი. მამულაიშვილი და უმცროსი აფიცერი მ. ზ. კანდელაკი.

გენერალ მაზნიაშვილს ბრალდება რამდენიმე სამხედრო დანაშაული, რომელსაც შედეგად მოჰყვა 1918 წელს ახალციხისა და მის მაზრის დაჭერა თათრების მიერ და ქართველ ჯარის უწესრიგოდ უკან დახევა. ჯიჯიხიას ბრალდემა თავისი ნებით ახალციხიდან წამოსვლა მთელის შტაბით. უკანასკნელთ კი ბრალდებათ სამხედრო ბრძანების შეუსრულებლობა.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ სასამართლო გუშინვე შეუდგა მოწმეთა დაკითხვას. დაკითხულ იქმნა სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. ა. გედევანიშვილი, პოლკოვნიკი გელოვანი და სხვები.

საქმის გარჩევა რამდენიმე დღეს გასტანს.

ბრალდებულთა დამცველებად არიან დამფუძ. კრების წევრნი. ბ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ვ. თევზაია და ნ. ელიავა.

თეატრალური ქრონიკა.

„ღალატი“

ნოემბრის 19 ს პირველად დაიდგა ოპერათ გადაკეთებული სუმბათაშვილის ცნობილი დრამა „ღალატი, თარგმანი კ. ფოცხვერაშვილისა, მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა. სულეიმანის როლს ასრულებდა ბ. საბინინი, ზეინაბისას ქ-ნი ალეშკო. დაწვრილებით ოპერის ღირსებას შემდეგ განვიხილავთ, ეხლა კი ავლნიშავთ, მხოლოდ, რომ საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა როგორც მუსიკით, ისე საერთოდ ოპერის ყველა სცენებით, რაც შესრულებული იყო მეტის ხელოვნური ნიჭით, როგორც შინაარსის მხრივ, ისე გარეგნულად.—იგივე ოპერა განმეორდება 22-ს.

„მსხვერპლი“.

სახელმწიფო დრამის თეატრში ნოემბრის 21-ს დაიდგმება „მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა. ახალი დეკორაციები მხატვარ სიდომონ ერისთავისა; აკ. ფალავას რეჟისორობით.

ახალი ამბები

რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტში. — თავდაცვის კომიტეტის პირველი სხდომა აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით დანიშნულია დამფუძნებელი კრების შენობაში ნოემბრის 20-სთვის. სხდომაზე მოწვეულნი არიან: პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტების, ქალაქთა და ერობათა კავშირის, ტფილისის ქალაქის თვითმართველობის, სავაჭრო - სამრეწველო პალატის, პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის და ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის წარმომადგენელები.

შინაგან საქმეთა მინისტრის ავადმყოფობა. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ბათომიდან ტფილისში დაბრუნებისას გაცივდა და ავათ გახდა. ტემპერატურა აწეულია. მინისტრის მოვალეობას შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე ასრულებს.

განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი № 774 ნატალია ნიკოლოზის ასული ნასიძის სახელზე. მიღებული ტფ. დეპუტატთა საკონსულოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3768 3—3

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკარგა კვათანის ორ-კლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 224 კარპე ესტატეს ძე თოფურიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3827 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი მატრონა პეტრეს ასული სოლუხოვას სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფრ. ნოტარიუსის მიერ 1910 წ. რეესტრის № 2701 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3831 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი გუნიბ ს ქ. № 60 მდებარე სახლის რომელიც ეკუთვნის ფალავანდიშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3833 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები, დამტკიცებულნი ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1893 წ. № 719 და 1893 წ. № 902, რომლითაც იულია ანტონის ასულმა ზანკოვსკიმ შეიძინა ჩიტახოვისაგან მიწა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3805 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული 1911 წ. № 187, გეგმა და აღმასრულებელი ხელშეკრულება გარდაცვალებული გეორქ ბაბაჯანის ძე ბაგდასარიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3789 3—1

დაიკარგა პასპორტი გეორგ აგაბეგის ძე ვანეცოვის სახელზე, მიღებული სომეხთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3818 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 931 გიორგი კალანდაძის სახელზე მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3891 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო ბეგრის მოხდის მოწმობა და ფოსტის კვიტანციები ვასილ ლევანტის ძე ძნელაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3822 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი, იზმაილის ქ. № 11 მდებარე სახლის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3826 3—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესავლელი ბილეთი და პირადობის მოწმობა ანა ნადარეიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3807 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი შიო ბალანტარაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1920 წ. რეესტრიით № 1660. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3808 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ფედოსიევის ქ. № 24 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ს. მამაცოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3814 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 110 ევგენი ნიკოლოზის ძე მარკოვიჩის სახელზე, მიღებული ქ. გროზნის ეკლესიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3816 3—1

ქ. ტფილისის მე-9 სამომრიგებლო უჭნის სასამართლოს ბოქაული კ. პოტემკოვსკი აცხადებს, რომ 30 ნოემბერს 1920 წ. დილის 10 საათზე ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 166 კონსტანტინე ბარხიანცის მაღაზიაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მოძრავი ქონება მოპასუხის კონსტანტინე ბარხიანცის, რომელიც შეადგენს მაღაზიის მორთულობას, ელექტრონის საანგარიშოს მავთულებით და სხვა და სხვა ნივთებს და საქონელს დასაკმაყოფილებლათ ელენე მილოსლავსკის 52742 მან. პრეტენზიისა. 3732 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში კონსტანტინე პეტრეს ძე მილნიკოვმა შემოიტანა განცხადები, რომ მისი ცოლი ანტონიტა ილიას ასული მილნიკოვისა რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1901 წ. უკვალოდ დაიკარგა 1911 წლიდან, რის გამო აღნიშნული კონსტანტინე პეტრეს ძე მილნიკოვი თხოულობს მისგან განქორწინებას, ყველა, ვინც იცის დაკარგული ანტონინა ილიას ასულის მილნიკოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით განუცხადონ სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3815 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3009, მიღებული სამურზაყანოს სამაზრო მილიციის უფროსისგან 1920 წ. და აცრის მოწმობა, მიღებული ბათომის ქალაქის საავადმყოფოდან ესტატე ნეტუს ძე შონიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3794 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 665 კონსტანტინე ლევანის ძე ჩანკვეტაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 6784 3—3

დაიკარგა პასპორტი № 145 გიორგი ილარიონის ძე ხუციძეს სახელზე, მიღებული ბაქოში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3756 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა გური დავითის ძე ანდელაკის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3757 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3840 მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან იულია დიმიტრის ასული პავლოვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3761 3—3

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი № 339 ელიაუ სიმონის ძე თავდიდიშვილის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3762 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ნიკოლოზ სერგოს ძე ფანიაშვილას სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3764 3—3

დაიკარგა პასპორტი, და მოწმობა, მიღებული კავთისხევის თემის მილიციიდან და მეტრიკა იოსებ მიხეილის ძე ირემაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3724 3—3

დაიკარგა პასპორტი ეკატერინე მიხეილის ასული გოცირიძის სახელზე, მიღებული საქართველოს წარმომადგენლისაგან ქ. ბაქოში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3733 3—3

დაიკარგა პასპორტი № 165 მიღებული მარნის თემის გამგეობიდან და სამსახურის ნუსხა № 1475, მიღებული სენაკის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან მაკარი გიორგის ძე ფალავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3734 3—3

დაიკარგა პასპორტი ხაიმ მიშა იფრაიმოვის სახელზე, მიღებული ბაქოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3730 3—3

დაიკარგა პასპორტი ლევან მელქუნას ძე სტეფანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3721 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 480 ბაგრატი დავითის ძე გიორგაძის სახელზე მიცემული ქუთაისის ქალაქის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3728 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 770 გრიგოლ ვარდენის ძე გამყრელიძის სახელზე. მიღებული ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის დირექტორისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3728 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 913 იულო კონსტანტინეს ძე ზაქარაიას სახელზე, მიცემული საქართველოს საკონსულოდან ბაქოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 191 არჩილ მაქსიმეს ძე ჭელიძის სახელზე მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. 3728 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 645 მარუქ გრიგორის ძე სტეფანიანის სახელზე, მიღებული ყარსის კომისარიატიდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3720 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 16 გრიგოლ ლუკას ძე ბალდავაძის სახელზე, მიცემული მე-3 მე ქვეითა ათასეულის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—3

დაიკარგა პასპორტი № 106 სამსონ ასატურას ძე კაფიევის სახელზე, მიღებული შუშიდან (განჯის გუბერნია) გაუქმებულად ჩაითვალოს. 3762 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 165 ამერანი ბესარიონის ძე კოსტავას სახელზე, მიღებული ხობის თემის ერობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 305 მუხრან ნიკოს ძე რეკვავას სახელზე მიღებული ხობის თემის ერობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 80 პეტრე ივანეს ძე მანტუროვის სახელზე. მიცემული ტყიბულის მაღაროების ინჟინერ წულუკიძისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—3

დაიკარგა 1919 წ. საბინაო დავთარი გონჩარის შესახვევში № 14 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის როსტომოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3771 3—3

დაიკარგა სათადარიგო სამოსწავლო ყრილობის უმცროსი ნაცვლის ნამსახურობის მოწმობები მიცემული სადარაჯო ათასეულიდან და მეშვიდე ათასეულიდან ლევან იგივე უშანგი სეფეს ძე ლორთქიფანიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 3785 3—2

დაიკარგა პასპორტი დომნა ნიკოლოზის ასული ბოიკო იაროვსკის სახელზე, მიღებული კავკავის მილიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს: 3773 3—3

დაიკარგა ნუსხა და პასპორტი № 3 თადეოზ ზურაბის ძე ქოიავას სახელზე, მიღებული სენაკის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—3

ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზ. გადოების გამგეობა

საზ. წესდ. 73 § თანახმად ამითაცხადებს, რომ 1920 ხლის 23 დეკემბერს დილის 11 საათზე, გამგეობის შენობაში საკუთარ სახლში პუშკინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება გაუმეორებლად უძრავი მამული ქვემო ჩამოთვლილ პირთა, მათ მიერ საზოგადოებიდან აღებულ სესხზე ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო, ტფილ. სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდების §§ 11, 12 და 13 ძალით. ეს ვაჭრობა, თუ უშედეგო იქნა, მეორედ და უკანასკნელად მოხდება 1920 წ. დეკემბრის 30.

№ 1140. ზანდუკელი ოთარი, სამ-სართულიანი სახლი ორი ნაჭერი მიწით ერთი ზომით $23^1/_2$ კვ. ს. მეორე 9,9 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, მე-2 უბ. ყოფ. 2-რე ნაგორნი ქ., ეხლა პრიუტის ქ. კაპიტ. ვალი დარჩენილი გადასახადი 421 მ. 40 კ.

№ 2870. სოგომონოვები ავაქა და შამირა სამი ნაჭერი მიწა ზომით $132^1/_2$ კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, ორი სამ-სართულიანი სახლით 5 უბ., ხლებნისა და გეორგიევის მოედნის შესახვევი და ფეთხაინის ქ. კაპ. ვალი 33.149 მ. 43 კ. დარჩენილი გადასახადი 9.366 მ. 60 კ.

№ 3235 ივან იუზბაშოვი ხან საგანახსკი დავით სამი ნაჭერი მიწა ზომით ერთი 900 კვ. ს., მეორე 183 კვ. ს. და $7^1/_2$ არშ. კვ., მესამე $193^2/_{25}$ კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, ყველა მათზე მდებარე შენობებით და კუთვნილობით, მე-2 უბ. რუსთაველის პრ. ევსტაფიევის და ტიპოგრაფის ტუპიკი. კაპიტ. ვალი 245.522 მ. 60 კ. დარჩენილი გადასახადი 85.200 მ. 80 კ.

№ 3494. ტე-მხითარიანცი მარიამ ნაჭერი მიწა ზომით 46 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება თავის შენობებით 5 უბ. ფეთხაინის ქ. ფეთხაინის ეკლესიის გვერდზე კაპიტ. ვალი 604 მ. 01 კ. დარჩენილი გადასახადი 520 მ. 80 კაპ.

№ 3686. ბერიაშვილი ევსტაფი, ილია და დარია მიწა ზომით 36 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე-2 უბ. დავიდოვის ქ. კაპ. ვალი 450 მ. 65 მ. დარჩენილი გადასახადი 543 მ. 80 კაპ.

№ 5616. ლაზარევები მაგდალინა და გიორგი ორი ნაჭერი მიწა, პირველი ზომით დაახლოებით 66 კვ. ს. მეორე ზომით დაახლოებით 87 კვ. ს. შენობებით 10 უბ. ელიზავეტინსკი ქ. კაპიტ. ვალი 15.097 მ. 18 კაპ. დარჩენილი გადასახადი 1243 მ. 80 კ.

№ 6063. რუსული კლუბი ნაჭერი მიწა ზომით 1348,05 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით და ბაღით 10 უბ. მიხაილოვსკი ქ. კაპიტ. ვალი 77.287 მ. 92 კ. დარჩენილი გადასახადი 7.127 მ. 30 კ.

№ 6638. ნაზაროვ ნაზარ ნაჭერი მიწა ზომით 254 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით 12 უბ. ფოთის ქ. კაპიტ. ვალი 33.679 მ. 19 კაპ. დარჩენილი გადასახადი 4280 მან. 80 კ.

№ 7103. მელიქ პაშაევა ეკატერინა ნაჭერი მიწა ზომით 270 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება 9 უბ. პროექტიროვანი ქ. კაპიტ. ვალი 2.937 მ. 72 კ. დარჩენილი გადასახადი 748 მან. 30 კაპ.

№ 7406. არუთინოვ ალექსანდრე ნაჭერი მიწა ზომით 405 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე-10 უბ. რუსთაველის პროსპ. (მიხაილოვის პრ.) კაპ. ვალი 118.800 მან. დარჩენილი გადასახადი 8.062 მ. 80 კ.

№ 7401. ოგანესიანცი ტიგრან ნაჭერი მიწა ზომით $226^7/_8$ კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე-7 უბ. ფალავანდოვის ქ. კაპიტ. ვალი 19.800 მ. დარჩენილი გადასახადი 1496 მ. 50 კ.

№ 7438. ფრიდონოვა მარია ნაჭერი მიწა ზომით 250 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით 3 უბ. სერგიევის ქ. კაპიტ. ვალი 198.000 მ. დარჩენილი გადასახადი 11.625 მ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო აღნიშნულ ვალის გადასახადის ხვედრი ფულის, დამატებით საერთო ჯამით; ამასთანავე მამულზე შერიცხული საქალაქო გადასახადი, აგრეთვე საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების შეტანა მყიდველთა ვალდებულება იქნება. საზოგადოებისადმი კაპიტალური ვალი შეიძლება გასწორდეს საზოგადოების ობლიგაციებით შესაფერ სესხზე მათი ნომინალურ ღირებულების მანეთი მანეთზე აგრეთვე შეიძლება გადავიდეს მყიდველებზე, სასწრაფო გადასახადი და სხვა გადაუხდელი კი გასწორდება ნაღდ ფულზე.

წესდების § 73 თანახმად ვაჭრობის დაწყებამდე მოვალეს უფლება ეძლევა შეიტანოს გადაუხდელი ფული პროცენტებით ვადის გასვლისათვის და ყველა გასავალი, რომელიც დასჭირდა მამულის ვაჭრობაში დანიშვნას და ამით გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ყველა ქალალდი, საბუთი, რომელიც ეხება გასაყიდელ მამულს მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები და ამბავი ვაჭრობის პირობათა შესახებ საზოგადოების გამგეობაში დილის ათ საათიდან შუადღის 2 საათამდე, კვირა და ტაბელის დღეების გარდა. 986 3—2

კოოპერატიული საზოგადოების „სოციალური უზრუნველყოფის“

დამაარსებელნი თანახმად ამავე საზოგადოების წესდების §§ 85, 110 და შენიშვნის 88, იწვევს ამხანაგობის წევრებს საერთო კრებაზე, რომელიც შესდგება კვირას, 28 ნოემბერს 1920 წ. დღის პირველ საათზე, მოქალაქე მიხეილ ოსიპოვის სახლში, პლეხანოვის პრ. № 93, ბინა 4.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება დამაარსებელთა და ყველა ის კითხვები, რომლებიც გამომდინარეობს ამ მოხსენებიდან; 2) არჩევა თანამდებობის პირთა: ა) გამგეობის თავმჯდომარის, მისი ამხანაგის, ხუთი წევრის გამგეობის და მათი კანდიდატებისა, ბ) არჩევა საბჭოს თავმჯდომარის, მისი ამხანაგის და საბჭოს სამის წევრის და მათი კანდიდატების და გ) არჩევა სამის წევრის სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების.

უკეთუ თანახმად წესდებისა აღნიშნულ რიცხვს და დროზე არ გამოცხადდებიან საკმარისი რიცხვი ამხანაგობის წევრებისა, მაშინ ერთი საათის შემდეგ გაიხსნება ხელმეორედ საერთო კრება, რომელიც წესდების მიხედვით იქნება კანონიერი.

დამაარსებელნი.

3832 1—1